

# საგზაო

საქართველოს  
გაზეთების  
აქტივობები

ქვეყნის  
ზინა


საერთო გაზეთი

ორშაბათი 3 მაისი 2004 №98 (2117)

ფასი 50 თეთრი

# NON

## ჭირებსა, ბოსკაპვი არ მიდგაო



## ნუ ესტა გვაქლდა?! გაბიუდეგი

I-VI ადგილები		VII-XII ადგილები	
სიონი	7 4 2 1 10:4 34	ტორაქლო	7 5 1 1 15:6 33
დინამო	7 2 3 2 10:6 34	მცხეთა	7 4 2 1 7:3 24
ვიტ ჯორჯია	7 3 2 2 5:2 32	კოლხეთი	7 3 3 1 8:4 24
თბილისი	7 3 4 0 11:4 31	გათუში	7 2 0 5 4:10 22
ლოკომოტივი	7 1 3 3 4:8 23	სპარტაკი	7 3 1 3 7:6 18
დილა	7 0 2 5 1:17 19	მერცხალი	7 0 1 6 1:13 6

იარალი ტრიბუნაზე

## უეირბე!

სანამ ბოლნისელთა ფორმირანი ქომაგთაგანი ტრიბუნაზე პისტოლეტს ატრიალებდა, ვია გეგუჩაძის „დინამომ“ პირველი მატჩი ბრაზილიელი რომეროს პირველი გოლით მოიგო. თამაში თბილისში კი იყო, მაგრამ ბოლნისელი გულშემატკივარი ჭარბობდა თბილისელს, თუმცა „დინამოს“ მეტი კლასი და ილბალი აღმოაჩნდა.

ლიდერი ისევ „სიონია“ და დარჩენილი მატჩების კალენდარი მისთვის ავდარს არ მოასწავებს. ხოლო „დინამო“ „სიონს“ ქულებით გაუთანაბრდა და მესამედან მეორე ადგილზე აინაცვლა.

„შევარდენზე“ კი „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელი გაუძევეს, მაგრამ „თბილისმა“ ამით ქულაზე მეტი ვერაფერი იხეირა — მერაბ კოჭლაშვილი მსაჯის გინების გამო გაანთლეს.



აქას უხარია...



აქას რა უნდა?



## კალაქე სკუდეტოს ნილუია

ერთი ქართული წუთი, ერთი ქართული დროება

ჩემპიონთა ლიგის მომგები პირველი ქართველი გუშინ სკუდეტოს მფლობელ პირველ ქართველადც შეიქნა. სერია A-ს სეზონის მთავარ მატჩში „მილანმა“ ბოლო კონკურენტი „რომა“ დაამარცხა და მეჩვიდმეტედ გახდა იტალიის ჩემპიონი.

მთელ ამ ამბავში გულდასაწყვეტი ოდენ ის არის, რომ მთელმა სეზონმა, ფაქტობრივად, კაბა კალაქის გარეშე

ჩაიარა და მისი ნვლილი „მილანის“ გამარჯვებაში ნაკლებია. მაგრამ შეგვიძლია სხვაგვარადაც ვთქვათ — კარლო ანჩელოტიმ სეზონის ამ მთავარ მატჩში კალაქე მეშვიდე ნამატებულ წუთზე შეუშვა და მან გადაჭედელი „სან სიროს“ ტაშის გრიალსა და ქართული დროშის ფრიალში არასრული წუთი დაჰყო მოედანზე. ეს შეცვლა პრაქტიკული თვალსაზრისით არაფერს ნიშნავდა და

ოდენ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. „მილანისთვის“ კალაქის მნიშვნელობის სწორედ ეს სიმბოლური აღნიშვნა გახლდათ სასიამოვნო.

ხოლო იქ, სადაც ქართველი არავინაა, ესპანეთში, ჩემპიონობისკენ მიიწევს „ვალენსია“. „რეალი“ კი ეგებ სულაც მესამეობას დასჯერდეს — მადრიდელები აგებენ და აგებენ, „ბარსელონას“ კი ვერავინ აჩერებს.



# შირესმა, ბოსკამპი არ მიწადაო

## რას იტყვის ფედერაცია?

**თბილისში** ორი კვირის წინ მყოფი იოჰან ბოსკამპი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას 5 მაისამდე დაემშვიდობა და არგენტინაში გაემგზავრა. დათქმულ დღემდე კი ფედერაციამ საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს — დანიშნავს თუ არა ჰოლანდიელს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად.

5 მაისი, ოთხშაბათი ზეგაა, მაგრამ ფედერაციას ბოსკამპისთვის პასუხი (ანუ თანხმობა) ჯერაც არ აქვს და, როგორც შევიტყვეთ, შესაძლოა ბოსკამპს უარიც უთხრას.

ფედერაცია და ბოსკამპი ორი კვირის წინ ერთმანეთს მოსაფიქრებლად დაშორდნენ. თავად მწვრთნელმა პასუხი მაშინვე თქვა, ის თანახმა იყო, საქართველოს დაბრუნებოდა. საფიქრალი ფედერაციას ჰქონდა, ბოსკამპის კანდიდატურაზე ეროვნული გუნდის მწვრთნელს ალენ ჟირესს უნდა დაჰკითხოვოდა. დაეკითხა და... ჟირესს ბოსკამპზე უფრანკალად არაფერი უთქვამს, აზრის სახალხოდ გამოთქმას მოერიდა, თუმცა ფედერაციის უფროსობას კი აგრძობინა, რომ ის ახალგაზრდულში, შესაბამისად კი ყველა ასაკობრივი გუნდის კურატორად ბოსკამპის დანიშვნის წინააღმდეგაა და სურს,

21-წლამდელთა ნაკრები ქართველ მწვრთნელს ჩააბარონ.

ჟირესის მოულოდნელმა უარმა ბოსკამპის კანდიდატურაზე ფედერაციის ხელმძღვანელები ძალიან შეაფიქრანა. მათ ბოსკამპის დანიშვნაზე აღმასკომის რამდენიმე წევრმა უარი აქამდეც უთხრა და ახლა ნაკრების თავკაცის წინააღმდეგობასაც წააწყდნენ. ჟირესის პოზიცია კი ამ საკითხთან დაკავშირებით ფედერაციისთვის უმნიშვნელოვანესია.


ჯერჯერობით ფედერაციაში უკვე ველარავინ ამბობს, ბოსკამპი ახალგაზრდულის მწვრთნელად დაინიშნებაო, თუმცა გადაჭრით ვერც იმას ამბობენ, ბოსკამპს უარს ეტყვიანო. და რაკი ჰოლანდიელის დანიშვნა-არდანიშვნის საკითხი საკითხავი გახდა, ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი შანსია, ბოსკამპს ფედერაციამ უარი შეუთვალოს.

ისე კი, გამორიცხული არ არის, იოჰან ბოსკამპი ამ დღეებში საქართველოში მაინც ჩამოვიდეს და ახალგაზრდულში თუ არა, „თბილისში“ დაიწყოს მუშაობა. მას თბილისელები კლუბის ტექნიკური დირექტორის პოსტს სთავაზობენ. ამჟამად კი ჰოლანდიელი მწვრთნელი არგენტინაშია.

კობა ინასარიძე



ბადრი აბთილაძის ფოტო



ბადრი აბთილაძის ფოტო

# ზეიმი ღაინყო, ზეიმი იქნება ხალაქი სხულებოს შხეფებში

გუშინ იტალიაში ჩემპიონის ვინაობა გაირკვა — „მილანმა“ „სან სიროზე“ ანდრეი შევჩენკოს გოლით კონკურენტი „რომა“ 1:0 დაამარცხა და სერია A-ს დასრულებამდე ორი ტურით ადრე მეჩვიდმეტედ მოიპოვა სკუდეტო. მილანის „შავ-ნითელმა“ უბანმა გუშინვე სიხარულისგან აანრილა ქალაქი, მათი სიხარული კი ჩვენც გვერგო: კახა კალაძე პირველი ქართველია, სკუდეტოს რომ შესწვდა



— კახა, სკუდეტოს მოგებას გილოცავთ... რაღაც ხმაური და ღრინცელი არ ისმის...

— მოლოცვისთვის მადლობა. თამაშის მერე ყველანი სახლებში გაგვიშვეს, გვითხრეს, ჩემპიონატი საბოლოოდ რომ დასრულდება, მეჩვიდმეტე სკუდეტოს საკადრისად

მაშინ აღვნიშნავთო. რა თქმა უნდა, ძალიან გავიხარეთ, გასახდელში დიდი ამბავი იყო, სილვიო ბერლუსკონიმ და ადრიანო გალიანინი ყველას სათითაოდ მოგვილოცეს, მერე ბერლუსკონიმ შამპანური გახსნა და ყველა გაგვწუწა.

— „მილანის“ საჩემპიონო ოქროს მედალი შენც ხომ გერგება?

— აქაური წესით, სეზონის წინ ვინც განაცხადში შეგვიყვანეს, მედალს ყველას მოგვცემენ. სხვა საქმეა, რა წვლილი მაქვს „მილანის“ ჩემპიონობაში, თუმცა რა ვქნა, ძირითადად ტრავმირებული ვიყავი.

— ანწელოტიმ ბოლო წუთზე გათამაშა. დროის გაყვანის ამბავი იყო თუ პატივი გცა?

— ალბათ ერთიც და მეორეც... „სან სირომაც“ სასიამოვნოდ გამაოცა: როცა ზეიდოროვის შესაცვლელად ვემზადებოდი, 80 ათასმა

ტიფოზმა გულიანი ტაშით მაგრძობინა სიყვარული.

— თამაშზე რას იტყვი?

— მგონი, დამსახურებულად მოკვდით „რომას“ და დავამტკიცეთ, რომ „მილანი“ იტალიის ღირსეული ჩემპიონია.

— რასაც ვერ შეეგუვნენ „რომას“ ტიფოზები...

— იცოდნენ, რომ არაფერი გამოუვიდოდათ და ყველანიად ცდილობდნენ თამაშის ჩაშლას. პეტარდების და მაშხალების სროლა სტადიონზე არავის უკვირს, მაგრამ ასე თუ გავიდოდნენ თავს, ვის ეგონა. ჯერ გატუზო დაგვიშავდა, მერე რამდენჯერმე დიდა. ამითაც ჩანს „მილანის“ ხასიათის სიმტკიცე. შევჩენკოს ადრეულმა გოლმა ისინი ფსიქოლოგიურად გატეხა.

— მილანელ ტიფოზებს რა რეაქცია ჰქონდათ?

— უნდა ნახოთ, ქალაქში რა ხდება. გადარეულები არიან, დარბიან და ყვირიან. ზეიმი მათთვის ნაღდად ალალია, მთელი სეზონი ჩვენს გვერდით იყვნენ.

— შენ ვის მიუძღვნი სკუდეტოს?

— რა თქმა უნდა, ოჯახს, მეგობრებს, ქართველ გულშემატკივარს და სრულიად საქართველოს.

გიორგი გავაძიძე

ფეხბურთის კლუბი „ამერი“ სამხიმარს უცხადებს ვლადიმერ გუცავეს მამის გარდაცვალების გამო

სარბიელელები თანაგუგრძნობთ ვლადიმერ გუცავეს მამის გარდაცვალების გამო

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა სამხიმარს უცხადებს ვლადიმერ გუცავეს მამის გარდაცვალების გამო

ნარმატებული და უზვეგოლიანი გამოდგა ბუნდესლიგის ბოლო ტური იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგისთვის“ — ფოლკერ ფინკეს გუნდმა შინ „ჰანოვერს“ 4:1 მოუგო და, ფაქტობრივად, ბუნდესლიგაში დარჩენა გაინაღდა, ხოლო ალექსანდრე იაშვილმა „ჰანოვერს“ ორი გოლი გაუტანა

# შესაქლოა, დორბეუნდის იაშვილმა ჯერ ჰანოვერი დაჭვინტა



— ბუნდესლიგის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა და ცოტადა გვაკლია, რათა ბუნდესლიგაში დარჩენა გავინაღოთ. შესაძლოა, ქულები აღარ დაგვჭირდეს, მაგრამ თუ კიდევ ორ ქულას ავიღებთ, „ფრაიბურგი“ მომდევნო სეზონისთვის უცვლელად ბუნდესლიგაში იქნება. „ჰანოვერს“ კი ჯერ ჰვინტით გაუტანე, მერე შეკარესთან პირისპირ გავიდი, მოვატყუე და ისე შევაგდე.

— „ჰანოვერი“ ურიგო გუნდი არაა, ამას წინათ „ვერდერსაც“ კი დააკარგინა ქულები, თქვენ კი 4:1 მოუგეთ. — ჩვენ ხომ შინ ძალიან კარგად ვთამაშობთ — ფრაიბურგში მხოლოდ „ბაიერნმა“ და „ვერდერმა“ მოგვიგეს. — „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი გააგრძელე, მაგრამ ეს ალბათ იმას არ ნიშნავს, რომ მომდევნო სეზონშიც ფრაიბურგელი იქნები — შენი ტრანსფერით „ფრაიბურგმაც“

უნდა იხეიროს — როდის გადაწყდება, რომელ გუნდში გადახვალ?

— შესაძლოა, ეს სეზონის დასრულებამდე გადაწყდეს. საქმე ისაა, რომ ბუნდესლიგაში ჯერ არაა გარკვეული, რომელი გუნდი რომელ ევროტურნირზე ითამაშებს. მეც ისეთ გუნდში უნდა გადავიდე, ევროტურნირებზე რომ ითამაშებს.

— შენი „დორტმუნდში“ გადასვლა რამდენად რეალურია?

— შესაძლოა, ასეც მოხდეს, გამორიცხული არაფერია.

— ბუნდესლიგა 22 მაისს მთავრდება, თუმცა „ფრაიბურგი“ კიდევ ერთ მატჩს ითამაშებს...


— ეგერა, წლეულს ფრაიბურგს ათი წელი უსრულდება და 23 მაისს ახლანდელი „ფრაიბურგი“ ყოფილ ფრაიბურგელებს შეხვდება. ამ მატჩში ლევან კობიაშვილიც ითამაშებს.

— გერმანიის ეროვნულმა ნაკრებმა წინა ოთხშაბათს რუმინეთთან 1:5 წააგო. ამაზე რას ამბობენ გერმანიაში?

— ერთი ამბავია ატეხილი. თუმცა რული ფილოერის მოხსნაზე არც კი ლაპარაკობენ, წაგებას უფრო ფეხბურთელებს აბრალებენ. მიუღ გუნდს გაუმეებენ, მაგრამ ფილოერს არა.

დავით თაგარაძილაძე

საქართველო  
პრემიერლიგის 30-ე ტური  
გარდაცვალება 4:1 შესანიშნავი



საქართველოს **15** ჩემპიონატი **7** ტურში  
**საქართველო** **ლიგა** **აზაი**



# ეგეთები არ იყოს! ღმერთი!



ბრაზილიელმა რომერომ პირველი ქართული გაიტანა, თემურ ვოლკოვმა კი, ძალიან რომ არ უნდოდა, ის გოლი გაუშვა

## დინამო მთხიანეთის პასით მოიგო

თბილისი. 1 მაისი. 18 საათი. მრეწველთა. 3 000 (ტევიდობა 70 900)

**დინამო 1:0 სიონი**

<p><b>დინამო:</b> ზოიძე, შაშიაშვილი, სილაგაძე, კანდელაკი, კაშია (ბურდული 70), კვიციანი, რომერი, ანაბაძე (გ. ნემსაძე 62), ახალაია, კაკაბაძე (ს. იაშვილი 65), მელქაძე</p> <p><b>სათადარიგო:</b> გვარამაძე, გიგაურაძე, ხმალაძე, კარლოსი</p> <p><b>მწვრთნელი:</b> გია ბაგუჩაძე</p>	<p><b>სიონი:</b> ვოლკოვი, გილაური, ს. ბურნაძე (ისიანი 83), ჭიჭვიანი, სვანიძე, ბაქრაძე, გაბისკირია (ალადაშვილი 46), სიჭინავაძე, გონჩაროვი, რ. იონანი, გ. შენგელია (უგრუხელიძე 78)</p> <p><b>სათადარიგო:</b> ა. ლაბაძე, დარსანი, გ. დოლიძე, ოქროპირიძე</p> <p><b>მწვრთნელი:</b> თემურ მახარაძე</p>
--	--

მსაჯეები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ცირაძე (გულრიფში), ა. სამხარაძე; დ. სანაია (ორივე სოხუმი)

სფზ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო



ბოლნისელი სანდრო ბურნაძე ბურთს ზედ კარის ხაზთან დაუხვდა

### კობა ინასარიძე

**თამაში** „დინამომ“ დაიწყო და ბურთთან უკვე მეოთხე შეხებას გოლი მოჰყვა: ბრაზილიელმა რომერომ საჯარიმოს გარედან დაარტყა, ბურთი ბოლნისელ მცველს მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და ვოლკოვის ნახტომის საპირისპირო მხარეს შევარდა კარში — 1:0. თბილისელებმა საქმე პირველსავე წუთზე გააკეთეს და დარჩენილ დროში ეს ანგარიში შეინარჩუნეს. შეინარჩუნესო, კი ვამბობთ, თუმცა „დინამოს“ იმ ერთი გატანის გარდა ბარე შევიდნენ ნაღდი საგოლე მომენტიც გაუცუდდა.

„სიონისთვის“ ეგებ საჩემპიონო, „დინამოსთვის“ კი წაგების შემთხვევაში ჩემპიონის ტიტულის დაკარგვის ტოლფასი მატჩი იყო. პრინციპულობა პრინციპულობად და, ამ უმნიშვნელოვანესი სამი ქულისთვის მეტოქეებმა ისე ითამაშეს, თქვენი მოწონებული კარგა ხანია, ქომაგს საქართველოს ჩემპიონატის მატჩი აღარ გაურჩევია, არაფერი ყოფილა ნამატჩევს სალაპარაკო და იმიტომ. ერთი მსაჯობასა და რაიმე სკანდალურს თუ მოჰყვებოდა ხმაური, თორემ წმინდა საფეხბურთო ამბავი მეორე დღეს აღარავის ახსოვდა. „დინამო“ — „სიონი“ სწორედ ისეთი თამაში გამოდგა, ხალხი რომ ალაპარაკა: „სიონს“ კარგი გუნდი ჰყოლია, „დინამოსაც“ არა უშავს, ის ბრაზილიელი ყოჩაღ, გონჩაროვის რომ გაეტანა, ვოლკოვის რომ არ გაეშვა...

„დინამოს“ ახალმა თავკაცმა გია გეგუჩაძემ, ცოტა არ იყოს, ავანტიურული ტაქტიკა ირჩია: მეტოქეს ერთბაშად სამი თავდამსხმელით დაუხვდა. კაცმა რომ თქვას, გეგუჩაძის ასეთი ნაბიჯი გასაკვირი არც უნდა ყოფილიყო — „დი-

ნამოს“ მოგების გარდა გზა არ ჰქონდა, ვერ მოიგებდა და... არც თემურ მახარაძის ჩანაფიქრი გამოდგა მოულოდნელი და ძნელად გამოსაცნობი. მისი ტაქტიკა ფრთხილი, დაცვაზე აქცენტირებული იყო. მახარაძემ, წინა მატჩებისგან განსხვავებით, შუა ხაზი ჩამშლელი ფეხბურთელებით გააძლიერა, სვანიძესა და ბაქრაძეს ბოლო ხანს ძირითადში არ უთამაშიათ. ბოლნისელთა დაცვა მრავალნაცადი იყო — ჭიჭვიანი, ბურნაძე, გილაური. თავდასხმაში „სიონი“ გონჩაროვის იმედად იყო, მარჯვნიდან კი მას სწრაფი შენგელია უნდა დახმარებოდა. დინამოელმა მცველებმა გონჩაროვის შეჩერება, მარჯვნივში მოქცევა შეძლეს, არც შენგელია გაანავარდეს თავის ფლანგზე. „სიონის“ მცველებმა კი რაოდენობრივად თანაბარ მასპინძელ ფორვარდებს ვერაფერი მოუხერხეს. „დინამოს“ შემტევები ბოლნისელ შუახაზელებსა და მცველებს შორის მოძრაობდნენ, უკანა ხაზის გარღვევის შემდეგ კი მათ შემჩერებლად მეკარეა რჩებოდა. იმის თქმა გვსურს, რომ სამი მცველის დამხმარე ბოლნისელთაგან არავინ იყო და ვერც ეს მცველები გამოდგნენ ერთმანეთის შეცდომათა გამსწორებლები. მოკლედ, გეგუჩაძის გეგმა გამართლდა, „სიონმა“ მეტოქის სამი თავდამსხმელი შეჩერება ვერ მოახერხა.

### საუკეთესო

#### სეზარ რომერი

„დინამოს“ ბრაზილიელმა გუნდიდან დათხოვილი ალექო გოგობერიშვილის ადგილი დაიკავა საყრდენ ნახევარმცველად და იმდენი იმუშავა, ისე ნაყოფიერად, რომ, შეიძლება ვთქვათ, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი სრულფასოვნად შეცვალა. მწვავე პასები და გამარჯვების გოლი — ბრძოლისუნარიანობასთან ერთად ესეც საუკეთესოების კრიტერიუმია, რაც რომერომ სხვებზე მეტად დააკმაყოფილა.

რეზულტი. მოკლედ, გეგუჩაძის გეგმა გამართლდა, „სიონმა“ მეტოქის სამი თავდამსხმელი შეჩერება ვერ მოახერხა.

„დინამოს“ გუნდში კი კარგი შემტევი ცენტრში გათამაშებულ ბურთს მაშინვე გოლი მოჰყვა: რომერომ დასარტყელად მომენტი ჩაიგდო, არ დააყოვნა და... წუთიც და „დინამოს“ მეორეს გატანაც შეეძლო, მაგრამ ბაქრაძემ ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. ამ შოკის მერე „სიონს“ გონს მოსასველელად თხუთმეტი წუთი დასჭირდა. შემდეგ კი იყო სვანიძისა და გონჩაროვის მომენტები, მაგრამ ზოიძეს მათი შეტევების მოგერიება არ გასჭირვებია.

მეორე ტაიმი ისევ „დინამოს“ სახიფათო მომენტებით დაიწყო. ახალაიას რომეროს პასის შემდეგ ვოლკოვმა თავური აულო, ბურთი ცხრიანიდან გამოიტანა. ორიოდ წუთში კი „დინამომ“ კონტრშეტევისას ისეთი უპირატესობა მიიღო, გოლი გარდაუვალი ჩანდა: ოთხი მასპინძელი ორი მცველის წინააღმდეგ დარჩა. შეტევის დამთავრება კაშიამ ითავა, რომელიც ბურთთან ანაბაძეს მარჯვნიდან მიჰყვებოდა, დარტყმული კი ძელს მოარტყა. ასხლელი ბურთზე დამატებული დინამოელთაგან არავინ გამოჩნდა. მერე ბოლნისელთა ფორვარდის, გონჩაროვის ორი მომენტიც იყო, თუმცა ზოიძეს ვერ აჯობა. აღსანიშნავია გონჩაროვის თამაშგარეშ ზღვარზე თამაში. ბოლნისელთაგან არავინ გამოჩნდა ისეთი, ბურთს რომ არ დააყოვნებდა და მცველებთან ერთ ხაზზე მყოფ თავდამსხმელს გონჩაროვს პასს გაუჭრიდა. „სიონის“ ჰაველები ბურთს იქამდე იჭერდნენ, ვიდრე მცველები გონჩაროვს არ მოიტოვებდნენ.

ბოლოს „სიონი“ კიდევ ორ აშკარა გოლს გადარჩა. იაშვილის თავური ბაქრაძემ ისევ კარის ხაზიდან გამოიტანა, ნემსაძის დარტყმულს კი ბურნაძემაც ხაზზე მიუსწრო.

**თემურ მახარაძე:** ძალიან მნიშვნელოვანი თამაში იყო და სამწუხაროა, რომ უხეში შეცდომის გამო წაგავით. პირველსავე წუთზე გაშვებულმა გოლმა ჩვენზე ფსიქოლოგიურად იმოქმედა.

**გია გეგუჩაძე:** ხმები, „დინამოში“ კრიზისი, გადაჭარბებულია. ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებში გუნდი კიდევ მოუმატებს. საერთოდ, შემტევი ფეხბურთის მიმდევარი ვარ და მიმჩნია, რომ მეტოქე იქით უნდა აიძულო, დაცვითი ფეხბურთი ითამაშოს. „დინამოს“ დღევანდელი შემადგენლობა ოპტიმალური იყო, თუმცა ორი ფეხბურთელიცაა ისეთი, რომელთა ძირითადში დაყენებაზე ვფიქრობდი.

გადამრედალან ფოტოები

გადამრედალან ფოტო





შპს "სპორტსმენი" 2 მაისი 18 საათი. ლ. შ. 200 (ტეფადობა 25 600) **მსხეთა 1:0 სპარტაკი**

Table with 2 columns: მსხეთა (10 ავალიანი 57) and სპარტაკი (10 ავალიანი 57). Lists players and scorers for both teams.

**გაგეუი სოლოს ნებგაგენ**



გიორგი კიკნაძის მცხეთელემა გასაქანი არ მისცეს

**დავით თავართქილაძე**

მცხეთელემა ერთობ ფასეული სამი ქულა მოიპოვეს, ხოლო „სპარტაკის“ საქმე დამძიმდა, თუმცა მურთაზ ხურცილავას გუნდს არ გაეარდნისთვის მებრძოლთაგან სხვებზე უკეთესი კალენდარი აქვს და ამის იმედად თუ იქნება. პირველ ტაიმი ნაცრისფერი კი იყო, მაგრამ რამდენიმე მწვავე ეპიზოდი მაინც ვიხილეთ. „მცხეთა“ სამჯერ დაემუქრა „სპარტაკს“: ჯერ ულენტიის თავური მოიგერია დეკაბემ, შემდეგ ქებაბემ ააცილა მცირედით ოციოდე მეტრიდან, მერე ავალიანის მახვილი კუთხიდან გასროლილსაც მარჯვედ დაუხვდა დეკაბემ. ერთხელ „სპარტაკმა“ გამოიღო თავი — მაღლაფერიძემ და კვერენჩილაძემ კარგად გაითამაშეს ბურთი, დასარტყმელ პოზიციაზე კვერენჩილაძე გავიდა, მაგრამ უხეიროდ მოიქნია ფეხი და დარტყმა გაუცუდდა. შესვენებამდე ტემპი დაბალი იყო. მასპინძლები მოედნის ცენტრში უკეთ იბრძოდნენ და მცირე უპირატესობას მეტწილად ამის ხარჯზე აღწევდნენ. მეორე ტაიმში თამაში გამოცოცხლდა. მცხეთელთა გამთამაშებელმა ჩხაიძემ ულენტს შეუქმნა ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ მან მიზანს ააცილა. რიხიანი პასუხი გამოუვიდა „სპარტაკს“ — საჯარიმო მოედნიდან გადმოვარდნილ ბურთს შალამბერიძემ დაჰკრა ცაცია, მაგრამ ცინცაძე კარგად გაიშოტა და კუთხურზე მოიგერია დარტყმული. გოლი კი ასე გავიდა: ავალიანმა სოლო რეიდი მოედნის ცენტრიდან წამოიწყო, მარჯვედა ფლანგზე გაიჭრა, მერე შუსიკენ შეიწია, „სპარტაკის“ საჯარიმოში შეიჭრა და



ამ ეპიზოდში „მცხეთას“ და გიორგი კიკნაძეს კარი გაღალურჩათ

ცაციათი დაარტყა — დეკაბემ დარტყმის მომენტს ვერ დაინახავდა, ავალიანს მცველები ჩაუწუნენ, მაგრამ ბურთმა გზა მონახა, მეკარეს ნახტომი დაუგვიანდა და 1:0. ორივე გუნდის თამაშში საკმაო წუნი იყო, მაგრამ გატანილმა გოლმა ორივე მხარე გამოაცოცხლა. „მცხეთას“ კიდევ უნდა ეხვირა, მაგრამ ჩხაიძე-ქებაბემ-თოდუას კომბინაცია იმით დამთავრდა, რომ თოდუამ ფაქტობრივად ცარიელ კარს ააცილა. ანგარიშის გათანაბრების შანსი „სპარტაკს“ ერთხელ მიეცა: ტატანაშვილმა თავით დაუგლო ბურთი კვერენჩილაძეს, თუმცა მისი

არცთუ ძლიერი დარტყმა ცინცაძემ უკუაგლო. სპარტაკელები მეტწილად ფლანგებიდან უტყველდნენ, რადგან მოედნის ცენტრში მეტოქე უფრო ლონვირად იდგა. სტუმრებს დისკვალიფიცირებული ჯანგიძე აკლდათ და მისი არყოფნა შუა ხაზს საკმაოდ დაეტყო. მცხეთელთაგან კი ფურთუხიას და ჩხაიძეს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა. ერთი სიტყვით, არგავარდნისთვის მთავარი ბრძოლები წინაა, სამშვიდობოს ჯერ არც „მცხეთას“ გაუღწევია, „სპარტაკის“ საქითხი კი ალბათ ბოლო ტურამდე არ გაირკვევა.

ბათუმი 1 მაისი 18 საათი. დინამო 200 (ტეფადობა 5 000) **ბათუმი 0:2 ტორკედო**

Table with 2 columns: ბათუმი (10 ბოლქვაძე 30) and ტორკედო (10 სირბილაძე 51 ს.კ.). Lists players and scorers for both teams.

**ბათუმი ყველა დაიღალა მასპინძლებმა სტუმრებს ავტოგოლოები გამოუცხვან**

ნახევარმა საათმა ისე განვლო, ბურთი კარის მიმართულებით არ დარტყმულა. 30-ე წუთზე დავით ბოლქვაძეს, ეტყობა, ყელში ამოუვიდა ბურთის უაზროდ გორება და შორიდან არც ისე ძლიერად დაარტყა. ქვაჩაძის ბურთს იოლად დაეუფლა, თავს ზემოთ ასწია, მოულოდნელად წაიბორძიკა, ბურთი ხელიდან გაუვარდა და კარში შეგორდა — 0:1. გოლი ბოლქვაძეს მიაწერეს. ტორკედოელებმა, არიქა, მეკარე დაბნეულიაო, შორიდან დარტყმას უხშირეს, თუმცა მეტს ვედარაფერს გამოიჩინენ და თანდათან დაცხრნენ. მასპინძლები კი გამოფხიზლდნენ

და ნაპრალების ძებნა დაიწყეს ტორპედოს დაცვაში. მე-40 წუთზე ვიტალი დარჩიძემ დიმიტრი ფირცხალიაშვილი შეატოვა ზვიად სტურუას, მაგრამ მეკარემ უშეცდომოდ იტამაშა და ბურთი მოიხელთა. „ბათუმი“ აშკარად გონს მოვიდა, შეტევას შეტევა მიაწყო და მეკარის ბაქანზე უმთავალფეროდ დარჩენილმა ფირცხალიაშვილმა სტურუას სახიფათოდ დაურტყა. მეკარემ კუთხურზე მოიგერია ბურთი. პირველი ტაიმი ანუ შოუ ქვაჩაზიასთან ერთად ამით დასრულდა, მერე კი სირბილაძის ჯერი დადგა. მეორე ტაიმი ხუთი წუთის დაწყებული იყო, სულიკო დავითაშვილმა ცენტრიდან რომ დაიწყო, მარჯვედა ფლანგზე ვინც კი შეხვდა, ყველა მოატყუა და ჩააწოდა. აი, აქ კი სირბილაძემ ისეთი ეფექტური თავური დაჰკრა საკუთარ კარში, რომ ცვლილებაზე შესული ირაკლი ბალაძე უმანსოდ დატოვა — 0:2. მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე „ტორკედოს“ დაღლა დაეტყო და ერთი მსახიობის თეატრიც დაიწყო... ბრავო, სტურუა! ჯერ დარჩიძის შორეული დარტყმა მოიგერია, მერე ნიკა ფურცხანიძის თავური, მატჩის მიწურულს ვანო მახარაძის ფლანგური პასისას კარიდან ხუთ მეტრში ფირცხალიაშვილი ახტა ყველაზე მაღლა და დარტყმაც ლახათიანი გამოუვიდა. გოლიაო, ბევრი წამოხტა, პაერში გაფრენილი სტურუა კი ბურთიანად წამოდა.

შპს "სპორტსმენი" 1 მაისი 18 საათი. შპს "სპორტსმენი" 200 (ტეფადობა 6 000) **კოლხეთი 2:0 პერსხალი**

Table with 2 columns: კოლხეთი (10 შალამბერიძე 34) and პერსხალი (10 ქუთათელიძე 38). Lists players and scorers for both teams.

**პაი, ებრეა თაყაო...**

მოუხვდავად ამისა, „კოლხეთს“ მოგება მაინც გაუჭირდა. მისი უპირატესობა თვალსაჩინო კი იყო, მაგრამ ფინით მოთამაშე გურულები თავს კარგა ხანს იცავდნენ. ამიტომაც იყო, გოლს 34-ე წუთამდე რომ შეეგვიანდა. მასპინძლებმა პენალტი მოინადირეს, როცა მოწყობილის ფეხს თავად წამოეგო. მთლად უეჭველი არ ეთქმოდა ამ ეპიზოდს, მაგრამ შილაკაძემ, ასეაო და შალამბერიძემ ანგარიში გახსნა. ოთხივე წუთში კოლხებმა ამ გოლს მეორეც მიაყოლეს. სხვებზე აქტიურმა თავად ფლანგიდან საჯარიმოში ჩააწოდა, ბურთს ქუთათელად დაუხვდა და ახლოდან გაიტანა. „მერცხლის“ კართან ხიფათი მერეც მრავლად შეიქმნა, თუმცა გოგუას მესამედ ვედარავინ გაუტანა.











REUTERS მილანიდან

„მილანის“ ბრაზილიელ მეკარე დიდას გვარიანი ჭაფა ადგა

როსტოვსა შეიცვალა. მესამე პენალტი არ დანიშნა.

ამის შემდეგ ატყდა ვნებათაღელვა, მთავარი როლი დიდას კარსუკან განვითარებულმა „რომას“ ტიფოზებმა შეასრულეს. ისინი მილანელების მეკარეს დიდხმან მასხალებს ესროდნენ და საერთოდაც, ყველა ღონეს ხმარობდნენ თამაში რომ ჩაშლილიყო. ვნებათაღელვა იქამდე მივიდა, რომ ერთ ეპიზოდში ბრაზილიელს კაკამ დალიმამ კინალამ მუშტები დააყარეს ერთმანეთს, მაგრამ ეს გადაწყვეტილი მატჩის ერთი მხარე იყო, რომელიც პასთან, ფინტთან, დარტყმასთან და გოლთან კავშირში არ გახლდათ. თავად ფეხბურთს ხულიგნობამ და ნერვიულობამ ვერაფერი შემატა. რამდენიმე მომენტი შეიქმნა მეორე ტაიმში და ევ იყო.

ხოლო იმ წუთებში, როდესაც „სან სიროზე“ სკუდეტოს ბედი წყდებოდა, „იუვენტუსი“ პერუჯაში აგებდა 0:1-ს. „სტადიო კურიზე“ შეხვედრის ერთადერთი გოლი „ბებერი ქალბატონის“ ყოფილმა გმი-


რმა ფაბრიციო რავენელიმ გაიტანა. მაშ ასე, „შე-თეთრებმა“ სერია A-დან გავარდნის კანდიდატებთან უკვე შედიხედ მეორე თამაში წააგეს.

ამ მატჩის 74-ე წუთზე „პერუჯას“ შემადგენლობაში ისტორიული ცვლილება განხორციელდა, მოედანზე მე-18 წუთზე, ბრიენმას ნაცვლად შესული ინგლისელი ბოტროიდის ნაცვლად შევიდა ლიბიელი კადაფი. დიხ, სწორედ ის, დიქტატორ მუამარ კადაფის ვაჟი ალ საადი, რომელიც, სხვათა შორის, აქამდე დისკვალიფიცირებული გახლდათ დიპინგის მოხმარების გამო.

ამ ამბიდან ერთი წუთის შემდეგ მსაჯმა მოედნიდან თვით ვეტერანი ჩირო ფერარა გააძევა. ფერარამ მეორე ყვითელი ბარათი ჩიილ.

ასე რომ, ახლა სერია A-ში საინტერესო (გასაგარდნთა ზონაში მიმდინარე ბრძოლას თუ არ ჩავთვლით) მხოლოდ მეოთხე ადგილისთვის დავადა რჩება: „პარმა“, „ინტერი“ თუ „ლაციო“?

ბაბუნა გმინი



კარლო ანჯელოტი მატჩის მერე მილანელებმა აბურთავეს

სერია B

Table with 2 columns: Team and Score. Includes teams like AC Milan, Fiorentina, Lazio, etc.

სერია C1/A

Table with 2 columns: Team and Score. Includes teams like Fiorentina, Lazio, etc.

სერია C1/B

Table with 2 columns: Team and Score. Includes teams like Fiorentina, Lazio, etc.

სერია C2

Table with 2 columns: Team and Score. Includes teams like Fiorentina, Lazio, etc.

სერია C3

Table with 2 columns: Team and Score. Includes teams like Fiorentina, Lazio, etc.



მარკუსული გიგლიორთქმე

სტივენ ტომპსონი

დე გურის საიუბილეო პასი ბუჯისცალა 500 მოაზროვა

შოტლანდია

პრემიერლიგა. XXXV ტური
რინგვარსი 4:0 მონაგოლი
0:1 არტეა (45), 2:0 როსი (47), 3:0 ნამუში (51), 4:0 ტომპსონი (55)

ბურთი სტივენ ტომპსონმა თავური დარტყმით დაბალ კუთხეში შეავლო. „რინგვარსის“ მწვრთნელმა ამის შემდეგ მოედანზე ორი ყმაწვილკაცი შეუშვა. ახალგაზრდული გუნდის მეგობრე 17 წლის როს მაკკორმაკი და 18 წლის მცველი გარი მაკკენზი, რომლებმაც თავისი გარჯით ფანების ტაში დაიმსახურეს.

სამაგიეროდ, მთელი მატჩის განმავლობაში უსტვენდნენ მთავარ არბიტრ სტიუარტ ლუგალსს, რომელსაც გასულ შემოდგომაზე „რინგვარსის“ ერთ-ერთი მატჩის მსაჯობისას მიუქარია. „სამომავლოდ ძლიერი გუნდის შესაქმნელად ფეხბურთელების შერჩევას ვაგრძელებ და სასიამოვნოა, რომ ნიჭიერი ახალგაზრდების თაობა მოდის“ — თქვა ნამატჩევს ალექს მაკლიშმა. მომავალ უქმეებზე სეზონის მეოთხე „ოლდ ფირმი“ გაიმართება — ჩემპიონი „სელტიკი“ „რინგვარსს“ მასპინძლობს.

გაბა ხუციშვილი

Table with 2 columns: Team and Score. Includes teams like Fiorentina, Lazio, etc.

I დივიზიონი. XXXIV ტური

Table with 2 columns: Team and Score. Includes teams like Fiorentina, Lazio, etc.

II დივიზიონი. XXXIV ტური

Table with 2 columns: Team and Score. Includes teams like Fiorentina, Lazio, etc.

III დივიზიონი. XXXIV ტური

Table with 2 columns: Team and Score. Includes teams like Fiorentina, Lazio, etc.







ვიკ, სპ, რეპორ, რატომ და ფეხბურთი

ამ უქმებზე ინგლისური გაზეთების სპორტულ გვერდებს ჩაუკვეცი. კვლავ აბრამოვიჩი! კვლავ ფლორენტი... ვეველა გაზეთი ერთს ამბობს, ოღონდ სხვადასხვაანაირად: აბრამოვიჩი პერესს...

მეცნიერებანი ახლოსდა



ნიცა — მონაკო. ლუდოვიკი ქიულიმ ნიცელ მცველებს იოლად გაუსწორდა

საფრანგეთი I ლიგის 20-ე ტურის შედეგები

Table with match results: მონაკო 0:1 მონაკო, სტრასბურგი 0:0 ვაზი, ლიონი 2:0 მონაკო, ლიონი 4:0 ვაზი, ნანტი 0:0 ვაზი...

პს-მ სტრასბურგში მოგება ვერ შეძლო და მეორე ადგილი დაკარგა. საფრანგეთის თასის ნახევარფინალის შემდეგ გადადილი...

მოპოვებული უპირატესობა შეინარჩუნეს. დალო პრემი და ლუდოვიკი ქიულიმ ათწუთიან მონაკეებში შეძლეს მეზობელი ნიცელების გაწბილება.

ავსტრია მემსაზუნდის ლიგა, XXXIII ტური

Table with match results: ადმირა — პაშინი 2:2; ბრეგენცი — კერნტენი 1:1; გრაცერი — ზალცბურგი 3:0; მატერსბურგი — შტურმი 2:2; რაბიდი — აუსტრია 1:2...

I ლიგის 20-ე ტურის შედეგები

Table with match results: უნტერზომბორნი — რიდი 1:2; ლინცერი — ბლაიზენგი 2:0; ლეობენი — ტიროლი 1:1; ვიორგლი — კაპფენბერგი 3:4; აუსტრია (ლ) — ლუსტენაუ 0:0

ფინეთი I ლიგის თასის ფინალი

ალბანსი 2:2 დ.დ. (პენ. 5:3, 2:2) ლაპტი

თურქეთი სუპერლიგა, XXXII ტური

Table with match results: ფენერბაჟი — ანკარაგუჯუ 3:1; გაზიანთეფი — ტრაბზონი 1:2; გენჩლერი — მალათია 2:2; კონია — დენიზლი 1:1; ბურსა — რიზე 4:2...

მასპინძლები სამ ქულას უნდა ალენ ბოქსინგს უნდა უმადლოდნენ. სტუმართა მცველმა სცადა, ბურთი მეკარისთვის მიეწვია...

გალაბებულმა ლეონტეძემ მონაკეებში მეორეც მიაცილეს. დანიელ კუზინმა მეტოქის დაცვაში გაისეირნა, ფაბიენ კოლიც ზედ მიაცილა და იოლად გაიტანა.

Table with player statistics: ლიონი 34 21 7 6 58:24 70; მონაკო 34 19 11 4 54:25 68; პსკ 34 19 10 5 47:25 67; სოშო 34 17 9 8 50:35 60...

II ლიგის 20-ე ტურის შედეგები

Table with match results: ვენასონი — რუანი 3:0; შატორუ — ნიორი 0:0; კრეტვი — გრენობლი 1:1; ლე ავრი — ისტრი 0:0; ლორიანი — ლავალი 1:0; ნანსი — გენიონი 0:2; სენტ ეტიენი — ანჟერი 0:0; სენდანი — ტრუა 3:0; ვალანსი — კლერმონი 1:1; ამიენი — კენი 0:3...

საპარკეთი პრომენალი ლიგა, XXVIII ტური

Table with match results: ქსანთი — ავე 1:2; არისი — ეგალეო 1:0; ხალკიდონა — ოლიმპიკოსი 0:1; ოფი — კალითეა 0:0; პანათინაიკოსი — აკრატიტოსი 1:1; პანილიაკოსი — იონიკოსი 2:2; პანიონოსი — პაოკი 1:0; პროდფტეიკი — ირაკლისი 3:2...


ამსანაზური მატრი

საზვიანი 1:1 ხიზაბავი 1:0 ჩანსა (79), ხი ნდლოუ (89)



# ბასტა: ელისტა

სააჯილმეო ქალაქი იმას ათრავინა, ვინც იმისთვის...



მიხეილ სააკაშვილმა კირსან ილუმინოვსა და ასლან აბაშიძეს ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი ყალბუბეთში გადაატანინა



ზიღ-სა და ყალბუბეთის პრეზიდენტი კირსან ილუმინოვი ორი კვირის შემდეგ კვლავ ეწვია ჩვენს ქვეყანას და ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი აქედან საკუთარ ელისტაში წაიღო.

შეგახსენებთ, რომ ილუმინოვი საქართველოში 14 აპრილსაც იმყოფებოდა.

ბოდა, თუმცა მან ფიდე-ს თავაკცმა მხოლოდ ბათუმში იმოგზაურა და აჭარის ავტონომიის მეთაურს ჩემპიონატის მასპინძლობა ოფიციალურად გაუფორმა. შემდეგ კი, მოგვხსენებთ, რა აყალბაყალიც მოჰყვა ამ ამბავს და ილუმინოვის სტუმრობა კვლავ გახდა საჭირო. ამჯერად იგი

ვერ დედაქალაქში ჩამოვიდა, ქვეყნის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდა და მასთან საუბრის შემდეგ გაემართა აჭარისკენ. ასლან აბაშიძესთან თათბირის მერე ილუმინოვმა ჩემპიონატი ბათუმიდან საკუთარ სამფლობელოში გადაიტანა.

ბათუმში გამართულ პრესკონფერენციაზე ილუმინოვმა განაცხადა, რომ არ შეეძლო მიეღო სააკაშვილის წინადადება, ჩემპიონატის თბილისში გამართვასთან დაკავშირებით, რადგან ხელშეკრულება უკვე აბაშიძესთან ჰქონდა გაფორმებული.

„საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და აჭარის ავტონომიის მეთაურ ასლან აბაშიძესთან შეთანხმებით, ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი 21 მაისს ელისტაში გაიხსნება და არა საქართველოში ამის გამო საქართველოს ჯაგრაკის ფედერაციას სანქცია არ დაეკისრება და ჯაგრაკის სამყაროშიც იმიჯი არ შეეღობება“ — ასე ბრძანა ილუმინოვმა.

ბოლოს კი ითქვა, რომ საქართველოს მთავრობა ფიდე-ს „გადაღვებოსთვის“ 350 ათასი დოლარით არ დაჯარიმდება, რაც ასლან აბაშიძის დამსახურებად ჩაითვალა. თურმე ელისტაში ჩემპიონატის სპონსორი აბაშიძე იქნება. მეტსაც მოვახსენებთ — გამარჯვებულის თასს ასლან აბაშიძის სახელი დაერქმევა.

ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატის დაკარგვიდან ორიოდ დღეში რა სვლა (შეწირვა) გააკეთა ასლან აბაშიძემ, ალბათ თქვენ ყველამ ნახეთ გუშინ ტელევიზორში.

ლუზა ბაგვაძე

## ფრენგურთის გედი: პირველი ლედი

გუშინ საქართველოს პრეზიდენტი აჭარის ავთოქეზულ მისადგომებს რომ უტრიალებდა, ამ დროს ჩვენი პირველი ლედი შვილთან ერთად თბილისში, კიევის ქუჩაზე მდებარე სპორტდარბაზში ფრენგურთელ ქალთა ჭყვივით-კივივითან ნამდვილ ბრძოლას ადევნებდა თვალყურს. მაინცდამაინც საქართველოს ფრენგურთელ ქალთა ამ ჩემპიონატმა რაგომ დააინტერესა სანდრა რულოვსი?



## ფრენგურთის გედი: პირველი ლედი

„ერთ დროს თავდაცვით-მაშობლი ფრენგურთს — ამბობს ქალბატონი სანდრა — ამიტომაც მაინტერესებს ეს თამაში, აქ კი დიდი ჯიხაიშის კოლეჯის გუნდის ნაკრებში მომიწვიეს. მე ყველა გუნდს ვგულშემატკივრობდი, მაგრამ ცოტა გამორჩეულად მაინც დიდ-ჯიხაიშელებს ვქომაგობდი.“

დიდჯიხაიშელთა გუნდმა „ჯიკომ“ პირველი ქალბატონი არ გააწვდილა და ჩემპიონობა მოიპოვა. ჩემპიონებს გარდამავალი ვეება თასი სწორედ სანდრა რულოვსმა გადასცა, მანამდე კი ისინი საქართველოს ფრენგურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლევან ახვლედიანთან ერთად ოქროს მედლებით დააჯილდოვა. მათვე ვერცხლის მედლებით დააჯილდოვეს შავი ზღვის ინსტიტუტის გუნდი, ხოლო ბრინჯაოთი — თბილისის ოლიმპიური რეზერვების ნაკრების წევრები. მათ გარდა ამ ჩემპიონატში მხოლოდ ლუშეთისა და ქუთაისის გუნდები გამოდიოდნენ.

არადა, იყო დრო, როცა ფრენგურთს ლამის მთელი საქართვე-

ლო თამაშობდა, მაგრამ აქ სახეობაში, თუ არ ჩავთვლით ეაჟა კაჭარავას ოლიმპიურ ჩემპიონობას, სხვა მნიშვნელოვანი წარმატებებისთვის არ მიგვიღწევია. თუმცა, ეგეც იყო, რომ მეორე მსოფლიო ომამდე ჩვენი ფრენგურთელები საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი უძლიერესი იყვნენ, მაგრამ მათი მიღწევები ქვეყნის ფარგლებს ვერა და ვერ გასცდა, ბოლო წლებში კი ამ სახეობაში მდგომარეობა გამოცოცხლდა.

დღევანდელ ქალთა ფრენგურთში დიდჯიხაიშელები ლიდერობენ. შემთხვევითი არ იყო, რომ სწორედ მათ გაიმარჯვეს და ზედიზედ მესამედ მოიპოვეს გარდამავალი თასი. ამასთან, სამივე ჩემპიონატი ისე მოიგეს, რომ ერთი შეხვედრაც კი არ წაუგიათ. მეტიც, თუ არ ჩავთვლით ერთადერთ შარშანდელ გამონაკლისს, პარტიაც კი არ დაუთმიათ.

„27 წელიწადია, რაც დიდჯიხაიშელებს ვეკარჯიშებ — გვეუბნება ჯიკოს უფროსი მწვრთნელი ნუგზარ მიქაძე — ბოლო წლებ-

ში დიდად გვეხმარება აზერბაიჯანში მოსაქმე ჩვენი თანასოფელი ბიზნესმენი გიორგი ლეჟავა. სწორედ ამ დახმარების წყალობითაცაა, რომ ზედიზედ მესამედ გაეხდით საქართველოს ჩემპიონები. ჩვენს გოგონებს ახლა დიდი სტიმული მისცა ქალბატონ სანდრას სტუმრობამაც. გაევიგეთ, რომ იგი ფრენგურთელი ყოფილა. ჰოდა, გოგონებმა წერილი მისწერეს და სოფელში მიიწვიეს. ისიც ადგა და რამდენიმე დღის წინათ ჩამოვიდა. თანაც, ჩვენს გოგონებთან ერთად ფრენგურთიც ითამაშა. ამით გულმოცემულებმა კი საქართველოს ჩემპიონატის დასკვნით ბრძოლებზეც მოიწვიეს.“

ახლა კი გაგაცნობთ ნუგზარ მიქაძის აღსაზრდელებს, რომლებმაც ჩემპიონობა მოიპოვეს. ესენი არიან: ნონა ლენჯილია, მარინე გერლიანი, ნათია არველაძე, მარინე ვაშაკიძე, თამთა დავითილიანი, თინათინ მიქაძე, თამარ გვანცელაძე, ინგა იოსებაშვილი, თამილა გეგუჩაძე

ავთანდილ ზვიზიანი

## უნივერსიტეტმა ბაქო მაქოსაპით აზერიალა

ბაქოში ვარკეთილის მეურნეობის სტადიონზე გამართული ქართულ-აზერბაიჯანული სათასო დაპირისპირებით შიდა სარაგბო სეზონი გაიხსნა. განახლებულ სისტემაზე საუბარს აღარ მოგვცემთ. უბრალოდ გეტყვი, რომ პირველად გათამაშებაში უარესი რეიტინგის მქონე რვა გუნდი ერთგება და გუშინ ერთი ასეთი წყვილი უნივერსიტეტი — ბაქო გავიდა საბურთაოდ. თასისთვის მებრძოლი ერთადერთი არაქართული გუნდი თავიდანვე უსუსტესად იყო მიჩნეული და პირველივე ეტაპის გადალახვა რომ გაუჭირდებოდა, არც ამბზე დავობდა ვინმე. ერთ დროს საქართველოს ნაკრების მოძღვარ გურამ მოდებაძეს ახლა აზერბაიჯანელთათვის უწევს სარაგბო ანბანის სწავლება. ბუნებრივია, „ბურძღვას“ გუნდისთვის მთავარი მონაწილეობაა და არა გამარჯვება.

უნივერსიტეტმა დაახლოებით მეათე წუთიდან იწყო უამბიციო მე-

ტოქის რბევა და შეხვედრის ბოლომდე 8 ლელოს გატანაც მოასწრო. აქედან 2-2-ჯერ თავი გუნდში შევიღმა და ლენჯილიამ ისახელეს. საბოლოოდ სტუდენტებმა 50:0 მოიგეს და მეორე ეტაპის საგზური გაინაღდეს. იქ მათ ორარუნდიანი ბრძოლა ქუთაისის „აიასთან“ მოუწევთ. ბაქოელები კი სხვა სამის გამოვარნას დაელოდებიან და ჯგუფური ტურნირით მე-11 — მე-14 ნომრებს გაითამაშებენ.

წესით უნივერსიტეტი — ბაქოს მატჩი „ლოკომოტივის“ მინდორზე უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ წვიმის გამო გადაიტანეს გარეუბანში. საწყისი ორი სათასო შეხვედრა ამავე მიზეზით სულაც გადაიდო. „მინაგანი ჯარი-დინამო“ — „იმედი L აკადემია 2“ და „ზულოგანა“ — „არმაზი“ დღეს „ლოკომოტივის“ სათადარიგო სტადიონზე 16 და 18 საათზე ითამაშებენ, თუ კვლავაც ამინდმა არ შეუმალათ ხელი.

ოთარ მაღლაკელიძე



## ბავშვებმა აატალახეს...

„ლოკომოტივის“ სტადიონზე გუშინ დაგეგმილი სათასო შეხვედრა მართალია ატალახების საშიშროების გამო გადაიდო, მაგრამ სტადიონი თამაშს მაინც ვერ გადაურჩა. საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორის“ ინიციატივით ბავშვთა სარაგბო ფესტივალი შედგა, რომელზეც თბილისის ყველა სარაგბო სკოლამ და პატარაშვილის „ვეფხვებმა“ მოიყარა თავი. თამაშები ორ ასაკობრივ ჯგუფში (1993-94 და 1995-96) ჩატარდა და კარგი სანახავიც გამოდგა. ფესტივალის პრინციპი საუკეთესოთა გამოვლენა სულაც არ ყოფილა. თითოეულმა გუნდმა რამდენიმე თამაში ჩატარა. ბოლოს კი ყველა ერთნაირი პრზებით: ფორმებით, ბურთებითა და ნაირგვარი სასუსნავით დასაჩუქრდა.





